პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 20 ოქტომბერი 1925 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

(936) 238 | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24. განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## ემზადეთ მწვევამდელთა შეკრებისათვის.

ახლო მომავალში საქართველოს ყველა მაზრებში დაიწყება 1904—5 წლებში დაბადებულ მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის ჯარში გაწვევამდე სამხედრო მზადება.

ამ მუშაობის გეგმიანად ჩატარებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი სახელმწიფოსა და წითელი არმიისათვის

ჯარში გაწვევამდე მზადება წითელი არმიის ტერიტორიალური აღმშენებლობის ერთერთი მნიშვნელოვანი მხარეთაგანია. ამიტომ დღეს ამ მუშაობას აქვს მიქცეული ჩვენი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისაგან ჯეროვანი ყურადღება.

თვით მწვევამდელთა შეკრებამდე სულ ცოტა დროა დარჩენილი და ამიტომ სათანადო ორგანოების მიერ წინასწარი მუშაობა აქედანვე უნდა იქნას დაწყებული.

უპირველეს ყოვლისა მიღებულ უნდა იქნას ყოველგვარი ზომები, რომ მომზადებულ იქნას მწვევამდელთა შესაკრები წერტების ბინები (ბუნკტები), სადაც მწვევამდელებს მოუწევთ სამხედრო და პოლიტიკური მზადების გავლა.

გარდა ამისა აღრიცხვაზე აყვანილ მწვევამდელებში მყოფი წერა-კითხვის უცოდინარები მიმაგრებულ უნდა იქნან ადგ. პოლიტ-განათლებისა და განათლების განყოფილებების მიერ გახსნილ სალიკვიდაციო სკოლებზე. ეს მუშაობაც უნდა დამთავრდეს სანამ დაიწყებოდეს შეკრება.

მწვევამდელთა შეკრების დროს მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს, როგორც სამხედრო, ისე პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობას. მათ შეკრებამდე კ. პ. და ა. ლ. კ. კავშირის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა აქედანვე უნდა გამოყონ მომზადებული პირები თავიანთი რიგებიდან, რომ შემდეგში ამათმა შესძლონ პოლიტ-მეცადინეობის გატარება მწვევამდელთა შორის. ამასთანავე ერთად აქედანვე დაწყებულ უნდა იქნეს ამ ორგანოებისა და სამხედრო ნაწილების მიერ სათანადო კამპანია მუშურ-გლეხურ მასებში მწვევამდელთა მზადების მნიშვნელობაზე.

ამ მუშაობის გატარების დროს წარსულში არ იყო მოგვარებული ღარიბ მწვევამდელთა კვების საკითხიც. ამ ჟამად ამის შესახებ უკვე გამოცემულია სათანადო დადგენილებები ჩვენი ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ, რომლის თანახმად მწვევამდელ ჰასაკის მუშურ-გლეხურ ახალგაზრდებისათვის: უღარიბესი გლეხების,— მოჯამაგირეებისა და უმუშევრებისათვის უნდა მოეწყოს უფასო კვება ადგილობრ. საბჭოთა ორგანოების ხარჯზე.

ტერ-ნაწილებში მომუშავეებს ამ დარგში უკვე მოეპოვებათ სათანადო გამოცდილება წარსულში გატარებულ მეცადინეობიდან. ამ ამხ.—გების მოვალეობა იქნება მიიღონ ყოველგვარი ზომები მწვევამდელთა მომავალი შეკრების ნაყოფიერად ჩატარებისათვის.

## ლოკარნოს კონფერენციის შეფასება.

ლოკარნოს კონფერენცია დასრულდა. გერმანიამ ხელი მოაწერა ყველა იმ პირობებს, რომელიც მას ინგლის-საფრანგეთმა წამოუყენა. ამ სამარცხვინო მოქმედებისთვის მან მიიღო „გამაბედნიერებელი დაპირება“: დეკემბრის რიცხვებში მას უთუოდ მიიღებენ ერთა ლიგაში. ჯერ-ჯერობით ამ კონფერენციის შედეგის შეფასება ნაადრევია, ვინაიდან, ზოგიერთ წყაროების ცნობების მიხედვით, არ არის აშკარა გერმანიის სხვა დანარჩენი პირობები, რომელიც თითქოს დაკმაყოფილებული იქმნა ანტანტის მიერ. მაგრამ ის შეფასება, რომელიც ამ „ხელშეკრულებამ მიიღო ყველა ქვეყნის პრესის მხრივ, ჩვენთვის საკმარისია, რათა ვიქონიოთ სწორი შეხედულობა ამ ხელშეკრულობის ნამდვილ ღირებულებაზე. საფრანგეთის პრესა ამ მოვლენას, ვერსალის ზავის შემდეგ უდიდეს მნიშვნელობას აძლევს.

მისი აზრით, მას (ხელშეკრულობას) დიდი წონა ემატება მით, რომ ის მოწონებული იქმნა ჩეხო სლოვაკიის და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ, ე. ი. იმ სახელმწიფოთა მიერ, რომლებიც საფრანგეთის ბურჟუაზიის მფარველობის ქვეშ იმყოფებიან. ვერსალის ზავი გერმანიას გამარჯვებულმა ანტანტამ ძალით მოახვია, აქ კი ლოკარნოში, გერმანიის ბურჟუაზიამ, თით ქმის თავის ნებით დაადვა თავის ქვეყანას ზედმეტი უღელი. რასაკვირველია, მათი ასეთი საქციელი საფრანგეთის ბურჟუაზიის მხრივ მოსაწონია.

ინგლისის პრესა აცხადებს, რომ ამ ხელშეკრულობით ახალი ხანა იქმნება ისტორიაშიო. ასე აფასებს ანტანტის პრესა ამ ხელშეკრულობის შედეგებს.

გერმანიაში კი ჯერ ჯერობით ყველასათვის არ არის გარკვეული ამ მოვლენის შედეგები. მხოლოდ რა სახითაც და რა ზომით არ უნდა იქმნეს გერმანიის მიერ ეს ხელშეკრულობა მიღებული, გერმანიის პროლეტარიატისათვის ერთი აშკარაა: ეს ხელშეკრულობა პირველ რიგში მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და რამდენად გერმანია ჩათრეული იქნება ანტისაბჭოთა ფრონტში, ის პირდაპირ გერმანიის პროლეტარიატის არსებობას ემუქრება. გერმანიის პროლეტარიატი ამიტომაც ეხლავე უდგება კომპარტიის ხელმძღვანელობით სამზადისს. გერმანიის ბურჟუაზია მოწადინებულია მისცეს ანტანტას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიწა-წყალი და ზარბაზნის ხორცი, გამყიდველი გერმანიის სოციალ-დემოკრატია კი ცდილობს იდეიური ნიადაგი მოამზადოს ამ შავი ზრახვების განსახორციელებლად. მაგრამ ყველა ეს ცდები უნაყოფოდ ჩაივლის. მათი შავი მუშაობა სააშკარაოზე იქნება გამოტანილი და რაც არ უნდა აკეთონ ბურჟუაზიამ და მისმა აგენტემა სოციალ-დემოკრატიამ — პროლეტარიატის ზურგს უკან მის წინააღმდეგ, მაინც გადამწყვეტ დროს გადამწყვეტ სიტყვას პროლეტარიატი იტყვის

ნ. ნ.

# ახალი რადიო-ამბები

## ლოკარნოს კონფერენციის შემდეგ

## გერმანიის მიღება ერთა ლიგაში. პრესა კონფერენციის შედეგებზე.

### საფრანგეთმა მოიწონა საგარანტიო ხელშეკრულება.

საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ ერთხმად მოიწონა საგარანტიო (საუზრუნველყოფო) ხელშეკრულება, რომელიც მოწერილ იქნა ლოკარნოში (შვეიცარიაში) და გაუგზავნა ბრიანს (საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი) მადლობის დეპეშა.

### გერმანიის მიღება ერთა ლიგაში.

17 დეკემბერს მოწვეულ იქნა ჟენევაში (შვეიცარიაში) ერთა ლიგის საბჭო გერმანიის წევრად მიღების შესახებ.

წინასწარ, 15 დეკემბერს, მოხდა ლიგის საგანგებო სხდომა ამ საკითხზე კენჭის საყრელად.

### შეერთებულ შტატებში კმაყოფილი არიან ლოკარნოს კონფერენციით.

ამერიკა ლოკარნოს კონფერენციას დიდ მიღწევად სთვლის. ამერიკის მთავრობა აღნიშნავს, რომ ხელშეკრულება მოაგვარებს ევროპის სახელმწიფოების სამხედრო დაიარაღების საკითხს, ვინაიდან ხელშეკრულება საშუალებას იძლევა შემცირებულ იქნას სამხედრო ხარჯები და მოღონიერდეს ევროპის მრეწველობა.

### გერმანიის გაზეთები კონფერენციის შესახებ.

გერმანიის ნაციონალისტების გაზეთები ამბობენ, რომ ჯერ ჯერობით მიღებულ ცნობებით არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ლოკარნოს მიღწევები ხელსაყრელია.

გაზეთები საერთოდ საბოლოო აზრის გამოთქმას გვერდს უვლიან კონფერენციის მიერ მოწერილ საბუთების მთლიანად გამოქვეყნებამდე.

### „როტე ფანე“.

გერმანიის კომუნისტების გაზეთ „როტე ფანეს“ კორესპონდენტის ცნობით ხელშეკრულების მე-16 მუხლისა და საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს მიღება ნიშნავს იმას, რომ გერმანიამ უარყო ცვლილებათა შესაძლებლობის მიღწევა თავის დასავლეთ და აღმოსავლეთ საზღვრებში და მიანიჭა საფრანგეთს უფლება გაატაროს გერმანიის ტერიტორიაზე ჯარები ჩეხო-სლოვაკიაზე და პოლონეთზე დასახმარებლად.

### საფრანგეთის პრესა.

მთავრობის აზრის გამომხატველი და ნახევრად ოფიციალური გაზეთი „მატენი“ სწერს: „რაც არ უნდა ილაპარაკონ იმედგაცრუებულებმა, ჩვენ მაინც გვრწამს, რომ კონფერენცია სასურველ შედეგებს მოიტანს. საქმე ეხება არა დროებითი ზავს, არამედ ნამდვილ საყოველთაო მშვიდობიანობას“.

### პოლონეთის პრესა.

„კურიერ ვარშავსკი“ სწერს: „სანამ კონფერენციის შედეგებს არ გავიგებთ, მანამდი არ შეგვიძლია მის შესახებ უკანასკნელი სიტყვის თქმა. ლოკარნოდან მიღებულ ცნობების მიხედვით ჩვენს თვალ წინ იშლება საშიშარ მდგომარეობის სურათი, რომელსაც ახასიათებს შემდეგი პუნქტები: ერთი რომ გერმანია შედის ლიგაში განსაკუთრებულ უფლებებით; მეორედ—პოლონეთ-საფრანგეთის კავშირი გამოდის კონფერენციიდან მეტად შესუსტებული; მესამედ საზღვრების საკითხი იმალება დიპლომატების ბუნდოვან გამოთქმებში. უნდა შევხედოთ პირდაპირ თვალებში საშიშროებას“.

### ინგლისის პრესა.

„ტაიმსი“ აღფრთოვანებით იხსენიებს კონფერენციის მიღწევებს.

„ვესტმინსტერ გაზეტი“ სხვა ლიბერალურ გაზეთებსავით აღნიშნავს, რომ ასე ადვილად არ უნდა ჩავთვალოთ მშვიდობიანობის საქმე უზრუნველყოფილად.

## სამოქალაქო ომის საფრთხე ჩინეთში.

ჩინეთში თანდათან საგრძნობი ხდება სამოქალაქო ომის საფრთხე. სხვა და სხვა პროვინციების მმართველები და მხედართ-მთავრები ერთმანეთზე კბილებს ილესავენ.

პეკინის მთავრობა ყოველ ღონისძიებას ხმარობს ჩააცხროს სამოქალაქო ომის საფრთხე, რომელიც შეუძლებელს გახდის იქაურ კონფერენციის მოწვევას.

უცხოელებიც ამასვე სცდილობენ, ვინაიდან თუ სამოქალაქო ომი დაიწყო, ეს გამოიწვევს მათი ბატონობის შესუსტებასა და უპირატესობის მოსპობას.

## შანხაი გადაჭრილია.

შანხაისა და ნანკინს, პეკინსა და შანხაის შორის მიმოსვლა შეწყვეტილია. შანხაი მოწყვეტილია ხმელეთის გზებს, მას დარჩენია მხოლოდ ზღვის მიმოსვლა.

მუკდენის ზოგიერთმა ჯარებმა უარი სთქვეს თავიანთ უფროსების ბრძანების ასრულებაზე.

## იაპონია ზომებს ღებულობს.

ჩინეთში მოსალოდნელ საფრთხესთან დაკავშირებით იაპონიის საზღვაო სამინისტრომ გააგზავნა ცინდაუში (იაპონიის სანაპირო ქალაქია) ორი გამანადგურებელი იქ მცხოვრებ იაპონელების დასაცავად.

## მაქს გოლდშტეინის დაღუპვის შესახებ.

### გოლდშტეინის სახელი საბრძოლო ლოზუნგია.

რემედასის აღმასკომის სხდომამ მიიღო რეზოლიუცია გმირულად დაღუპულ რუმინელ რევოლიუციონერების მაქს გოლდშტეინისა და დუბინსკის შესახებ (ესენი გარდაიცვალენ რუმინეთის ციხეში).

რეზოლიუციაში ნათქვამია:

„რუმინეთის რევოლიუციონერების სახელოვანი სიკვდილი იაფად არ დაუჯდება ბურჟუაზიულ ბოროტმოქმედებს. გოლდშტეინის სახელი საბრძოლო ლოზუნგი იქნება მუშების და გლეხების ახალი ათასებისათვის, რომლებიც უფრო მეტის აღფრთოვანებით წაიღებენ წინ იმ დროშას, რომლებიც გაუვარდათ ხელში ჯალათების მიერ განაწამებ გმირებს. რემედასის აღმასკომმა გაუგზავნა აგრეთვე ევროპის სახელმწიფოების თანამდებობის პირებსა და გამოჩენილ მოღვაწეებს მოწოდება, რომელშიაც პროტესტს აცხადებენ რუმინეთის ციხეების რეჟიმის წინააღმდეგ და მოითხოვენ დელეგაციის გაგზავნას რუმინეთის კატორღებისა და ციხეების პირობების გამოსაკვლევად.

## საბჭოთა კავშირში

### ინჟენერთა მივლენა ამერიკაში.

აზერბაიჯანის ნავთის საწარმოო აგზავნის ამერიკაში ორ ინჟენერს ამერიკის ნავთის მრეწველობის გასაცნობად.

## ლატვიის დელეგაცია საბჭოთა კავშირში.

მოსკოვში ჩამოვიდა ლატვიის საპარლამენტო (სახელმწიფოს უმაღლესი საკანონმდებლო დაწესებულება) და სამეურნეო დელეგაცია პარლამენტის წევრის კედინინგის თავმჯდომარეობით.

დელეგატებმა ინახულეს საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილე ლიტვინოვი, რომელთანაც საუბარში აღნიშნულ იქნა დელეგაციის მოსვლის მიზანი ორივე ქვეყნის ეკონომიურად დაახლოების საქმეში.

## ადესის მუშკორთა კრება.

შესდგა ადესის მუშათა კორესპონდენტებისა და პროკურატურის წარმომადგენლების შეერთებული კრება. კრებაზე გამოირკვა, რომ მუშკორების დევნა უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გაიზარდა. ბევრი მუშკორი ამის გამო თავსაანებებს წერას. დევნა განსაკუთრებით გაძლიერდა კერძო საწარმოებში.

თათბირმა დაადგინა შეიქმნას პროკურატურასთან მუდმივი კომისია მუშკორთა დევნის საქმეში და გამართოს საჩვენებელ გასამართლებათა მთელი რიგი.

## ტელეფონის ხაზი--მოსკოვი--ბაქო--ტფილისი.

მიღებულია ზომები პირდაპირი ტელეფონის ხაზის დაარსების შესახებ მოსკოვ ბაქოსა და მოსკოვ ტფილისს შორის.

## ძველი ქალაქის ნაშთის აღმოჩენა.

ნუხის მაზრაში (აზერბეიჯანში) აღმოჩენილ იქნა ძველი დიდი ქალაქის ნაშთი. ქალაქის შენობები მასიურია და აგებულია ქვის ფუნდამენტზე (საძირკველზე); წყალსადენი არხების ქსელი დაუზიანებელია.

## პურის ფონდი.

საკავშირო შინა ვაჭრობის კომისარიატმა საჭიროდ სცნო შეუდგეს სახელმწიფო პურის ფონდის დაგროვებას. პურის ფონდის თადარიგი მოთავსებული იქნება უმთავრესად სახელმწიფო ბანკის ელევატორებში და აგრეთვე „ხლებოპროდუქტის“ წისქვილებში და სხვა.

## საღერბო გადასახადის მოხსნა განცხადებებზე დაკარგულის შესახებ.

საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა დაადგინა გაათავისუფლოს საღერბო გადასახადისაგან განცხადებები ნივთების, საბუთებისა და სხვათა დაკარგვისა და მოძებნის შესახებ.

## სამხედრო ერთეულებში ჯამაგირის ანგარიშში ფულის გაცემის შესახებ.

ყველა სამხედრო ერთეულების უფროსებმა ალბათ ძალიან კარგად იციან ს. ს. რ. კ. რევსამხსაბჭოს—1923 წლის, № 1015, ბრძანების შინაარსი, რომელიც განსაზღვრავს წესს სავალე საბუთებით სარგებლობისას. 1925 წ. 19 აგვისტოს კი კ. წ. დ. არმიის სარდლობამ გამოსცა ბრძანება № 360, რომელიც კატეგორიულად მოითხოვდა ზემოაღნიშნული რევსამხსაბჭოს ბრძანების საფუძვლებზე სასწრაფოთ ყოფილიყო მოგვარებული სავალე საბუთებით არა კანონიერად სარგებლობის საკითხი. მაგრამ შემჩნეულია, რომ ზოგიერთი სამხედრო ნაწილები არა თუ ასრულებენ ამ ბრძანების მოთხოვნილებას, არამედ განაგრძობენ სავალე საბუთების წარმოებას ძველი გზით, აძლევენ ხელფასის ანგარიშში მოსამსახურეებს სხვა და სხვა რაოდენობის თანხებს, იმ შემთხვევებს გარეშე, რომელსაც ითვალისწინებს ბრძანება № 1015, და ამით არღვევენ ბრძანებებს, როგორც ცენტრალური ხელისუფლებისას, ისე კ. წ. დ. არმიის სარდლობისას. ავანსების გაცემამ ჯამაგირის ანგარიშში მიიღო ეპიდემიური და მასიური ხასიათი. ხშირად არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ესა თუ ის ამხანაგი, რომელის ხელფასი არ აღემატება 50 მან. ავანსის სახით ღებულობს 100—150 მან. ე. ი. იმდენს რამდენიც ორჯერ-სამჯერ აღემატება მის ძირითად ხელფასს. დაბრუნება ასეთი საგრძნობი თანხისა მოკლე დროში მას ცხადია, არ შეუძლია, და გამოდის, რომ ფული, რომელსაც ჰქონდა სულ სხვა გვარი დანიშნულება, რამოდენიმე თვეების განმავლობაში ტრიალობს კერძო პირის ხელში, რაც თავისთავად დიდათ საზიანოდ უნდა იქნეს მიჩნეული. ასეთი თანხების ამდენი დროის განმავლობაში ავანსად წაღება, არ შეიძლება განხილული არ იქნეს, როგორც მითვისება სახაზინო ფულისა უფრო სხვა გზით და სხვა საშუალებით, ვიდრე გაფლანგვა,—და ის უფროსი, რომლის განკარგულებითაც ხდება ასეთი ავანსების გაცემა, აშკარად არღვევს ამ საკითხზედ არსებულ სათანადო ბრძანებებს და ცხადია, ამით ამეტებს მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებას, რაც შეიცავს სისხლის სამართლის წესით დასასჯელი დანაშაულებრივ ქმედობას. ეხლა უკვე ყველამ კარგად უწყის, რომ ამ უკანასკნელ დროს სისტემატიური ხასიათი მიიღო სხვა და სხვა სახის გაფლანგვებმა, რომელიც საგრძნობ ზიანს აყენებს ჩვენი მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს ქონებრივ განმტკიცების საქმეს. თვით ავანსის სახით ფულის მიღება კი რაღას წარმოადგენს, თუ არა სახაზინო ფულის მითვისებას, მაგრამ როგორც ვსთქვით უკვე ლეგალური სახით. არმიის პარტიული კომისიის უკანასკნელმა პლენუმმა სასტიკათ გაილაშქრა ასეთი „ლეგალური გაფლანგვის“ წინააღმდეგ, როგორიც არის ხელფასის ანგარიშში ავანსების გაცემა. ყველა ამან კი წარმოშვა აზრი, ჩვენი დამსჯელი პოლიტიკის შეცვლისა რეპრესიის გაძლიერების მხრივ ყველა სახაზინო თანხების გამფლანგველთა წინააღმდეგ, რასაც უკვე ცხოვრებაში ატარებს ჩვენი მუშური სასამართლო. არმიის პროკურატურამ მიაქცია სათანადო ყურადღება ამ არა ნორმალურ მდგომარეობას და დაუგზავნა ცირკულიარები მასზე დაქვემდებარებულ საპროკურორო ორგანოებს, რათა სასტიკი ბრძოლა გაეწიოს ავანსების გაცემის საქმეს სამხედრო ერთეულებში. გაცემა ავანსების ხელფასის ანგარიშში, გარეშე იმისა, რასაც ითვალისწინებს ს. ს. რ. კ. რევსამხსაბჭოს ბრძანება № 1015, ჩაითვლება ბოროტმოქმედებათ და დამნაშავე იქნება მიცემული პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით, როგორც ხელისუფლების გადამეტებისათვის და მისი ბოროტად გამოყენებისათვის. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველა სამხედრო ერთეულების და დაწესებულების უფროსები ღრმად ჩაუკვირდებიან ამ საკითხს, და არა თუ მომავალში აღარ განმეორდება ის, რასაც ადგილი ჰქონდა აქამდე ავანსების გაცემის საკითხში, არამედ გასწევენ ფართო აგიტაციას, რომ ყველას მიერ სასტიკად იქნეს დაცული ბრძანება ს. ს. რ. კ. რევსამხსაბჭოსი № 1015.

დ. ხიხაძე.

## სამხედრო საქმე

### ცხენის მოვლის მნიშვნელობა

„ცხენი საუკეთესო მეგობარია ბრძოლაში“.

ყველამ იცის თუ რა მნიშვნელობა აქვს ცხენს სასოფლო მეურნეობაში. ადამიანი სარგებლობს ცხენის ღონითა და ამტანობით და სამუშაოს დიდ ნაწილს აკისრებს ცხენს.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს ცხენს სამხედრო საქმეში. ქვეითი, ცხენოსანი, არტილერია და სხვა გვარის ჯარები სარგებლობენ ცხენის შრომის უნარიანობით. მაგრამ რომ ცხენმა არ დაჰკარგოს თავისი ძალა და ჯანი და ჩვენი კარგი თანაშემწე იყოს, საჭიროა მისი კარგი მოვლა და სიფრთხილით მოპყრობა. ყოველ მეომარს, სადაც ის არ უნდა მსახურობდეს,—ქვეითა ჯარში, ცხენოსანში და სხვა, როგორც ომის, ისე მშვიდობიან დროს საქმე ექნება ცხენთან. ამიტომ თვითეულ მეომარს, თვითეულ სამხედრო მსახურს უნდა ესმოდეს თუ რა შეიძლება მოსთხოვოს ცხენს და როგორ მოუაროს მას. თუ რომ რომელიმე მანქანა, ტყვიამფრქვევი, მაზალა და ამისდაგვარი უსულო საგნები მოითხოვენ მოვლას იმიტომ რომ მათ შეეძლოთ დაუბრკოლებლივ მუშაობა, მით უმეტეს ცხენი—ცოცხალი არსება მოითხოვს მისდამი ერთგვარ მზრუნველობას და განსაკუთრებულ მოვლას. თუ რომ თავის დროს ვერ მიაქციე ყურადღება, თავის დროზე ვერ ასვი ან აჭამე და ასეთ პირობებში ამუშავე ზედმეტად, ცხენი ან დაიღუპება ან და გამოუსადეგი ხდება შემდეგი მუშაობისათვის. მაგრამ იმისთვის, რომ კარგად მოუარო ცხენს, რომ იცოდე თუ რა უნდა მოსთხოვო მას და რა—არა, ამისთვის საჭიროა, რომ მეომარი, რომელსაც ჩაბარებული ჰყავს ცხენი, პირველ ყოვლისა უნდა იცნობდეს მას —მის ხასიათს, მის ჩვეულებასა და საერთოდ ყველა მის თვისებებს.

მაშასადამე, თვის ცხენის ცოდნა და მისი, როგორც მეგობარის მოვლა, როგორც წესი და რიგია,—აი ყველაფერი ის, რაც მოეთხოვება შეგნებულ მეომარს. ასეთი მოპყრობასა და მოვლას ცხენი გადაგიხდის თავისი მუშაობით, ხოლო საბრძოლო ცხოვრების მძიმე წუთებში არა ერთხელ გამოგიყვანს მძიმე მდგომარეობიდან.

პ.

### როგორ უნდა მოუარო ცხენს.

პირველ ყოვლისა უნდა შეგძლოს ცხენის „გულის მოგება“. როცა მასთან მიდიხარ უნდა დაუძახო მას მშვიდი ხმით, უნდა აჩვენო მას შენი გამბედაობა და სიყვარული. მოფერებითა და მშვიდი მოპყრობით ადვილად შეგიძლია შეიჩვიო ცხენი და გამოიწვიო მასში შენდამი ნდობა. ხოლო რაკი ამას მიაღწევ—შეგიძლია მოსთხოვო მას რაც გინდა, მაგრამ რასაკვირველია არა მისი ჯანის საზიანოდ. მაგრამ ყოველთვის კი არ შეიძლება მარტო მოფერებით გამოიწვიო ცხენში მორჩილება. ზოგი ცხენი დაიწყებს ჯიუტობას და არ მოისურვებს იმის გაკეთებას, რაც შენ გინდა. ასეთ შემთხვევაში საჭიროა მოთმინება. ხოლო თუ რომ ის მაინც განაგრძობს ჯიუტობას, საჭიროა დარწმუნდე—ხომ არაა ის ავად. თუ რომ ცხენი უბრალოდ ჯიუტობს, უნდა დასაჯო ის, მაგრამ მაშინ კი არა, როცა მან ასეთი დანაშაული ჩაიდინა. უმჯობესია სულ არ დასაჯო, ვინემ უდროო-დროს დასაჯო.

აუცილებლად უნდა სწმინდო ცხენი არა ნაკლებ, ვიდრე ორჯერ კვირაში—დილით სამუშაოდ გაყვანამდი და საღამოს მთელი მუშაობის შემდეგ. თვითეული ცხენისთვის უნდა გქონდეს ცალკე საწმენდი მოწყობილობა, რომ არ გადაედოს ერთიდან მეორეს რაიმე სენი.

კვებისა და სმის საქმეში დაცულ იქნას სასტიკი წესი, რომელიც დაწესებულია ნაწილში. არავითარ შემთხვევაში წყალი არ უნდა ასვა ცხენს სამუშაოდ გაყვანისას და არა უადრეს 2—3 საათისა მუშაობის შემდეგ, ე. ი. უნდა ასვა მაშინ, როცა ცხენი ოფლისაგან გაშრება ან დამშვიდდება. თუ რომ მოგიხდება ასვა წყალი მუშაობის დროს, ეს შეიძლება, მაგრამ მაშინვე უნდა ამუშაო ის, რომ შეხურდეს. თავისთავად ცხადია, რომ წყალი უნდა იყოს კარგი, სუფთა და მიმდინარე.

ცხენის ჯანის დასამაგრებლად ის უნდა აბანაო; ცივ ამინდში ცხენის ბანაობა არ შეიძლება.

ცხენი რომ ღამით წოლის დროს არ გაჭუჭყიანდეს, საჭიროა ფეხ-ქვეშ თივის ან ჩალის დაგება. ეს საჭიროა კიდევ იმისთვის, რომ ცხენი ავად არ გახდეს.

ბოლოს, ცხენის მუშაობის უნარიანობის შენახვის ერთი უმთავრეს პირობათაგანი—ეს არის ფლოქვის წესრიგზე შენახვა და ჭედვა. უნდა გვახსოვდეს, რომ მაგარ ფლოქვაზე ბევრადაა დამოკიდებული ცხენის სიმარდე.

პ.

# ჩვენი ნაწილების საზამთრო მუშაობა.

## ჩვენც ვემზადებით ახალწვეულთა შესახვედრად.

1-ლი ლეგიონის 4-ე ასეული.

მაისში გამოწვეულ წითელ არმიელთა შვებულებაში წასვლის შემდეგ ასეულში საგრძნობლად შემცირდა არმიელების რიცხვი. მიუხედავათ ამისა მეცადინეობა არ შენელებულა და უმთავრესი ყურადღება კი მიქცეული აქვს ახალწვეულთა შეხვედრისათვის სამზადისს. ამ მუშაობაში ჩაბმულია ასეულის მთელი შემადგენლობა დაწყებული მეთაურებიდან, გათავებული წითელ-არმიელებით. მოვაწყვეთ ლენინისა და სამხედრო კუთხეები, პლაკატებით, ლოზუნგებით და სხვა. დიდი ყურადღება აქვს მიქცეული სამხედრო კუთხეს, რომელმაც ნათელი წარმოდგენა უნდა მისცეს სამხედრო საქმეზე, ყაზარმაში ახლად მოსულ გამოუცდელ ამხანაგებს. აქ არის გამოფენილი სხვა და სხვა სამხედრო ხასიათის ცხრილები, ადგილმდებარეობა, ბილიკები, თავშესაფარი სანგრების სურათები და მრავალი სხვა. ყველა ესენი ისეთი ხელოვნებით არიან შესრულებული, რომ აუცილებლად დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს ახალწვეულზე და შემდეგ ინტერესით მოჰკიდებს ხელს სამხედრო საქმის შესწავლას.

სამხკორი ივ. ბარელაძე.

## ჯილდო კარგ მსროლელებს.

ქართული მეთაურთა გაერთიანებული სკოლა.

17 ოქტომბერს გაისმა შესაკრები ნიშანი და მოგვაწყვეს სკოლის ეზოში. ყველამ იგრძნო, რომ კარგ მსროლელ კურსანტებს დაურიგებდენ დღეს ჯილდოებს. ამიტომ ვისაც თავის იმედი ჰქონდა ძლიერ კარგ განწყობილებაზე იყვენ და გულის ფანცქალით მოელოდენ საჩუქრებს.

რამოდენიმე ხნის შემდეგ გამოძახებული იქნენ ის კურსანტები, რომლებსაც პირველობა გამოუჩენიათ სროლაში შეჯიბრის დროს და ქებით—ვაშას ძახილით აძლევდენ თითეულ მათგანს საჩუქრებს. პირველი ჯილდო იყო საათი.

კურსანტებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საჩუქრებმა.

ამ ჟამად ყველა იმის ცდაშია, რაც შეიძლება მალე დახელოვნდენ ზუსტ სროლაში და სათანადო ჯილდოებთან ერთად მიიღონ თავისი უფროსებისაგან ქებაც.

სამხკორი ალ. გაგუა.

## არ ივიწყებენ.

სამხედრო პოლიტიკური სკოლა.

„ჩვენ არ დავივიწყებთ სკოლას, რომელმაც მოგვცა საჭირო ცოდნა რომ ვყოფილიყავით წითელი არმიელების აღმზრდელები; ვეცდებით არ გავწყვიტოთ კავშირი სკოლასთან, გაუზიაროთ მას ჩვენი მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეები“—ასე სწერდენ კურსანტები გამოშვების დროს კედლის გაზეთში.

მათ თავიანთი სიტყვა შეასრულეს. არ ივიწყებენ თავის აღმზრდელ სკოლას. ყველა კურსანტებისაგან, რომლებიც ამჟამად მუშაობენ ჩვენი ჯარის სხვა და სხვა ნაწილებში, სკოლას სისტემატიურად მოსდის წერილები. ისინი გვწერენ თავიანთ მუშაობის და მოღვაწეობის შესახებ წითელ-ჯარში. სკოლაც უპასუხოთ არ სტოვებს წერილებს: აწვდის ცნობებს სკოლის ცხოვრებიდან, აძლევს სხვა და სხვა დარიგებებს და სხვა.

კედლის გაზეთში ყოველთვის თავსდება მოწერილი ბარათები, კურსანტები ხალისიანათ კითხულობენ მათ. პირადათაც ხშირად ესტუმრებიან კურსდამთავრებული პოლიტხელები სკოლას. ყოველი ამისთანა სტუმრობა დიდ სიხარულს იწვევს სკოლაში.

ის უამბობს ამხანაგებს თავის მუშაობაზე, თუ როგორ ასწავლის არმიელებს, რა უძნელდება, აძლევს დარიგებას კურსანტებს თუ რას უნდა მიაქციონ მთავარი ყურადღება, რომ შემდეგში აღარ გაუჭირდეთ მუშაობა.

კურსანტები უგდებენ ყურს და იმახსოვრებენ საჭირო დარიგებას, რომ გამოიყენონ ის მომავალ მუშაობის დროს.

ე. ხუციშვილი.

## ხროლვა მეხუთე ლეგიონში

ლეგიონში მოსკოვიდან ჩამოსულ ქიმიურ სასწავლებელ დამთავრებულმა მეთაურმა მოაწყო საგამოცდო ხროლვა. მას განზრახული ჰქონდა გაეტარებია ხროლვაში ლეგიონის მთელი შემადგენლობა. ამისათვის ის შეუდგა სპეციალურ შენობის გამონახვას. ამ საქმის მოგვარება მეტად გაუძნელდა, რადგანაც მეთაურებმა დიდი გულგრილობა გამოიჩინეს და არ გაუწიეს სათანადო დახმარება.

დაიწყო ამხანაგმა აირმსპობ ნიღაბების შინჯვა და შემდეგ გადავიდა ხრჩოლვაზე. მან ჯგუფებად გაყო მთელი შემადგენლობა. თითეული მათგანი ცალცალკე უნდა გატარებულიყო ხრჩოლვაში. პირველი ჯაუფი გაატარა და ცდა მშვენივრად დაგვირგვინდა.

შემდეგ ჯაუფებს ამაოდ უცადი ამხანაგმა. მათი მეთაურები ყველანი წასულიყვენ თავიანთ საქმეებზე. მათგანს არავის არ მიუღია სავალდებულოდ მორიგი ხალხის მოყვანა ხრჩოლვაში გასატარებლად. მიუხედავად იმისა, რომ მეთაურების უმტესობას წარმოდგენაც არა აქვთ თუ როგორ ტარდება ნაწილებში ხრჩოლვა, ისინი არ დაინტერესდენ და არ მოვიდენ.

მეორე დღეს ლეგიონი დანაწილდა წერტებზე და ამნაირად ამხანაგების უმეტესი ნაწილი ვერ გაეცვნენ ამ მნიშვნელოვან საქმეს.

იმედია შემდეგისათვის ადგილი აღარ ექნება ასეთ გულგრილობას.

მეთაური გიდროპულდი.

## შვებული წითელ არმიელები სოფლად.

### გავაჩაღეთ მუშაობა.

დაგვითხოვეს თუ არა მოკლე ვადიან შვებულებაში გავეშურეთ სოფლებისაკენ და შეუდექით იმ დავალებების სისრულეში მოყვანას, რომლებიც დაგვაკისრეს ნაწილში ჩვენმა უფროსებმა. ცოდნით საკმაოდ აღჭურვილები ვართ. ვსცდილობთ რაც ვიცით გადავსცეთ გლეხებს. სოფელში მისვლისთანავე სათავეში ჩაუდექით კულტურულ საქმეებს. შეუდექით ქოხ-სამკითხველოების დაარსებას, რასაც დიდი სიხარულით ეგებებიან გლეხები. განსაკუთრებულ აქტიობას იჩენენ ყოფილი ტერარმიელი ახკომკავშირელები, რომლებმაც ძლიერ გამოაცოცხლეს ადგილობრივი კომკავშირელთა უჯრედები.

საერთოდ ყოველმხრივად ვსცდილობთ ნაყოფიერი იქნეს ჩვენი საქმიანობა.

წ. არმ. ნ. კუკულავა.

## გრძელ ვადიან შვებულებაში წასული წ. არმიელისაგან.

ყაზარმიდან განთავისუფლების შემდეგ დავბრუნდით ჩვენს სოფელში. გამოვცხადდით ჭიათურის მაზრის სამხედრო მაგიდაზე აღრიცხვაზე ასაყვანათ, მაგრამ სამწუხაროდ იქ არავინ დაგვხვდა, მთელი დღე ვიცადეთ, მაინც არავინ გაჩნდა. როგორც ეტყობა აქაური სამხედრო მაგიდა სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ ადგილობრივ აღმასკომის თავმჯდომარეს არავითარი ყურადღება არ მოგვაქცია. ჩვენ გვსურდა, როგორც დაგვავალა ჩვენმა უფროსებმა სათანადო დახმარება გაგვეწია სოფლისთვის საზოგადო საქმეების მოგვარებაში და გვემუშავა შეძლებისდაგვარად. მაგრამ არ მოგვაქციეს ყურადღება ადგილობრივმა ორგანოებმა, მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც შემოვიკრიბეთ გარშემო 1903 წ. დაბადებული ჯარში გასაწვევი ახალგაზრდობა და შესაფერი აგიტაცია გავსწიეთ მათში, რათა ერთსულოვნად გასწიონ წითელი ჯარის რიგებისაკენ საჭირო ცოდნის შესაძენად.

ამნაირად, მიუხედავად აღნიშნული დაბრკოლებებისა ჩვენ მაინც ვებმებით მუშაობაში და მალე დავანახებთ ადგილობრივ ამხანაგებს თუ რის გაკეთება შეგვიძლია.

შვებული წ. არმიელი კენჭოშვილი.

## 2-ე ლეგიონის ბიბლიოთეკა.

ბანაკიდან ჩამოსვლის შემდეგ ლეგიონი შეუდგა კლუბის შენობის შეკეთებას. ამასთანავე ერთად დაიწყო ბიბლიოთეკის შენობის შეკეთებაც, რადგან ვერ იყო მოთავსებული მაინცა და მაინც კარგ შენობაში. ამ გარემოებამ ბიბლიოთეკის მუშაობა ოდნავ შეაფერხა.

ამ ჟამად კი მუშაობა ისევ განახლდა. შენობა კარგა ხანია რაც მოთავდა და მოეწყო ბიბლიოთეკაც. ყველა წიგნები დალაგებულია თავის რიგზე. შენობა ახლომა ლეგიონთან და იმდენად თვალსაჩინო ადგილას, რომ წითელ არმიელებს ძალიან ენებურად იზიდავს. მკითხველ წითელ არმიელთა რიცხვი თან და თან იზრდება. წითელ არმიელების შვებულებაში გაშვების შემდეგ ბიბლიოთეკას კიდევ დარჩა 73 აქტიური მკითხველი წითელ არმიელი.

ამ ახლო მომავალში ბიბლიოთეკაში დაარსდება ლენინის კუთხის გამგეთა მოსამზადებელი კურსები.

ამ ჟამად ჩვენთან შემდგარია კომისია, რომელიც განტვირთავს ბიბლიოთეკას უვარგისი ლიტერატურისაგან.

მ. სევდიშვილი.

## ჩვენი თვითმოქმედების ორგანიზაციები.

1-ლი არტლეგიონი.

პირველ საარტილერიო ლეგიონის მთელი შემადგენლობა ენერგიულად არის ჩაბმული ლეგიონის თვითმოქმედების ორგანიზაციებში. არც ერთი წითელ არმიელი ამ ჟამად ორგანიზაციების გარეშე არ იმყოფება და ამავე დროს შეიქმნა ისეთი აქტივები, რომლებიც ყოველგვარ ხელმძღვანელობას უწევენ ორგანიზაციების წევრ წ.-არმიელებს. ხშირად იმართება საუბრები მათ მნიშვნელობაზე ლენინის კუთხეში. ავიაქიმის, რემედასის და სხვა ორგანიზაციების დანიშნულება ამნაირად ჩვენთან ყველას კარგად ესმით და ყოველ ღონისძიებას ხმარობენ მათი სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად.

წ. არმ. შორელი.

## მუშაობა კვლავ გამოცოცხლდა.

მე-4 ლეგიონი.

მე-4 ლეგიონის 1-ლი ათასეულმა ა. წ. 6 ოქტომბრიდან დაიწყო საზამთრო ბინების მოწყობა და კიდევაც დაბანაკდა. ათასეულში ეხლა არის მხოლოდ კადრის წითელი არმიელები. ცოტა ხნით შესვენების შემდეგ ისევ დაგვეწყო სამხედრო და პოლიტიკური მეცადინეობა.

მეცადინეობა მიმდინარეობს სისტემატიურათ. ყველა წ. მ. გულმოდგინეთ მეცადინეობენ და ცდილობენ, რომ, რაც შეიძლება მეტი ცოდნა შეიძინონ, რომ კარგი მომზადებული დაუბრუნდნენ სოფლებს, გაალრმავონ მუშაობა და გაამართლონ მშრომელთა ხელისუფლების იმედები.

სამხკორი ლექსო.

## წითელ არმიელების წერილებიდან.

### რა მოუვიდა ჩვენს პირად საქმეებს?

1-ლი საარტილერიო ლეგიონი.

ლეგიონში მოვედით მიმდინარე წლის გამოზაფხულზე რამოდენიმე ახ. ლ. კომკავშირის წევრები. ზოგიერთებს არ გვქონდა პირადი საქმეები. ყველა ახალი მოსული ამხანაგები აღნუსხვაზე აგვიყვანა ნაწილის კომკავშირის ორგანიზატორმა და თან გვითხრა: ვისაც პირადი საქმეები გაქვთ გადავგზავნი ცნობას მაზრებში და ყველას მოგივათო.

აგერ ექვსი თვე გადის მას შემდეგ, მაგრამ ჩვენი პირადი საქმეების შესახებ არაფერი ისმის. დროა ეს საქმე მოგვარებული იქნეს ვისგანაც ჯერ არს.

სამხკორი გ. იაკობიძე.

### ჩვენც მოგვაქციეთ ყურადღება.

მე-4 ლეგ. სამნეო გუნდი.

ჩვენი გუნდის არმიელები ვასრულებთ ლეგიონში თითქმის ყველა სამუშაოებს. არა გვაქვს ერთი წუთი მოცალეობაც კი. გაზეთებს, წიგნებს და სხვას სრულიად ვერ ვკითხულობთ დროს უქონლობის გამო. არც სხვა რაიმე მეცადინეობა სწარმოებს ჩვენთან. სანამდე უნდა გაგრძელდეს ასე? მოგვეცით საშვალება ჩვენც მოვისმინოთ რამე წითელ ყაზარმაში.

გუნდის წითელი არმიელები.

### უვარგის ხორცს გვაძლევენ და ცუდადაც გვექცევიან

ჩვენი ჯარის ნაწილებში ხორცს ღებულობენ „მიასოტორგი“-დან. გარდა იმისა, რომ ამ დაწესებულებების მოსამსახურეები ცუდად გვექცევიან, ხშირად უვარგის ხორცსაც გვაძლევენ. მაგალითად, ცხენოსან ლეგიონის ხორცის წამღებთან ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი: ერთ დღეს უნდა წამეღო ორი დღის მარაგი ხორცი. „მიასოტორგის“ თანამშრომელმა დამიწონა ძველი ხორცი. მე უარი განვაცხადე წაღებაზე, მაგრამ მან შამომიტია და მითხრა: შენი საქმეა წაღება იმის, რასაც გაძლევენო. მეორე დღეს ძველი, უვარგისი ხორცი უკან დაუბრუნა ლეგიონმა „მიასოტორგს“; ხორცის გადაცემისას კიდევ უფრო გაგვლანძღეს და აგვიყვირდენ.

რაშია საქმე, რით ვართ ვალდებული ამ ხალხის წინაშე? დროა ბოლო მოეღოს მათ ასეთ უმსგავსო საქციელს და ადამიანურად დაგველაპარაკონ.

წ. არმ. ლ. გულიაშვილი.

# სამხედროთა შენიშვნებიდან

## ყურადღებას გვაქცევენ

### 4-ხე ლეგ. 2-რე ათასეული.

6 ოქტომბერს № ქალაქში ამოვარდა გამანადგურებელი ქარიშხალი, რომელმაც მეტად დააზიანა ლეგიონის 2-რე ათასეულის ყაზარმები. ხსენებულ ქალაქის აღმასკომმა სასწრაფოდ მიიღო საჭირო ზომები და ათასეულის ყაზარმების შესაკეთებლად გადასდო ათას მანეთამდე. აღმასკომს დიდ მადლობას უძღვნის ათასეული. მისი ასეთი მოქმედება ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ ჩვენმა ორგანიზაციებმა კარგად შეიგნეს ტერ-სისტემის მნიშვნელობა და მზად არიან ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ მას.

სამხედრო სან-მანი.

## ლექცია ვენერიულ ავადმყოფობაზე

### სამხედრო გოსპიტალი

გოსპიტალში ერთ-ერთ ექიმის მიერ წაკითხული იქნა ლექცია ვენერიულ ავადმყოფობაზე. დაესწრენ როგორც ძველი, ისე ახალი წვეულებიც. ექიმი ვრცლად შეეხო ჰლექსაც. მან ვრცლად და გასაგები ენით აგვიხსნა ვენერიული ავადმყოფობა და მისი წარმომშობი მიზეზები. წ. არმიელებმა მრავალი შეკითხვები მისცეს და ყველაზე დამაკმაყოფილებელ პასუხს ღებულობდენ. კარგი იქნება ხშირად მოეწყობოდეს ასეთი შინაარსიანი ლექციები ავადმყოფებისათვის.

სამხედრო გ. შლ—ია.

## საჭიროა წყლის მოსაკავებელი ქურქლები

### 1-ლი საარტილერიო ლეგიონი

ლეგიონის სამმართველოში არა გვაქვს წყლის მოსაკავებელი ქურქელი. რამდენჯერმე მივმართავს სადაც ჯერ არს, მაგრამ აქამდე არავის აუსრულებია ჩვენი თხოვნა. იძულებული ვხდებით ვითმინოთ წყურვილი, რადგან სასმელი წყალი კარგა მოცილებით არის ჩვენგან და წამდაუწუმ იქ სიარული თავის დალს აჩენს მუშაობას. დროა სამნეო ნაწილის უფროსმა ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და დაგვაკმაყოფილოს

სამხედრო ლ. ფარ—ბელი.

## უქმე დღეებში შვებულების შესახებ

### 1-ლი საკავშირო ასეული

ასეულის უნცროსი მეთაურები ვერ იქცევიან წესიერად. კვირა დღეებში მხოლოდ დილაობით უშვებენ წ. არმიელებს ქალაქში, საღამოობით კი არა. ამ ამხანაგებს ავიწყდებათ ის გარემოება, რომ უქმე დღეებში სწორედ დილდილობით კითხულობენ ჩვენი არმიელები წიგნებს და ახალ ჟურნალ-გაზეთებს, ამიტომ დილით შვებულება თითქმის არავის უნდა და თუ საღამოთიაც არ იქნებიან გაშვებული მით ისინი ცუდ შთაბეჭდილებას მიიღებენ. ამას ყურადღება უნდა მიექცეს ამხანაგებისაგან.

სამხედრო ქანჩიანი.

# უცხოეთის არმიებში.

**ტანკები ინგლისის ჯარის მანევრებზე.**

ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული იმის შესახებ, რომ ინგლისის ჯარებში შემოღებული იქნა ახალი ტიპის მსუბუქი ტანკების ხმარება, ამას იტყობინებოდა ფრანგული პრესა. ამ ტანკების შესახებ სწერენ გერმანიის გაზეთებიც. ქარხანა ვიკერის მიერ გამოშვებული ტანკა იწონის 99 ტონს. შეიარაღებულია 57 სანტიმეტრიანი ქვემეხით და სამი ტყვიამფრქვევებით. თავსდება შიგ 6 კაცი. მისი სიჩქარე უდრის 42 ნახევ.-კილომეტრს საათში.

ინგლისელები დიდ იმედებს ამყარებენ ამ ტანკებისა და კავალერიის, გაერთიანებულ მოქმედებაზე. ინგლისის სამხედრო წრეები, როგორც გავრცელებული ხმები იტყობინებიან, დიდ მნიშვნელობას აძლევენ ამ მანქანებს და სახავენ მათ ბრძოლის ახალი ფორმის მაუწყებლად, როდესაც, ქვეითი ჯარი (რომელიც ტანკების შემდეგ გადავა შეტევაზე) ითამაშებს დამხმარე როლს.

**საჰაერო თავდასხმის რეპეტიცია.**

ზაფხულში, როდესაც სწარმოებდა ინგლისის ჯარების მანევრები, ინგლისელებმა განიზრახეს მოეხდინათ საჰაერო თავდასხმის რეპეტიცია ლონდონის ერთ-ერთ უბანზე. თავდაცვის ყველა საშვალებები იქნა მოყვანილი საომარ მდგომარეობაში. პროჟექტორები ეძებდენ ცაზე მტრის ჰაეროპლანებს, რომლებიც დაფრენდენ 3000-4000 მეტრის სიმაღლეზე. მანევრის უმთავრესი ამოცანა იყო მოეხდინათ ლონდონის ყველა საჰაერო თავდაცვითი ნაწილებში სანიმუშო განგაში. ეს ნაწილები კი როგორც ვიცით შესდგებიან მოხალისეებისაგან, რომლებსაც ერთი წუთითაც არ დაგვიანებიათ და უკლებრივ გამოცხადდენ თავიანთ შესაკრებ ადგილებზე. ასეთი განგაში ხშირად ეწყობა ინგლისში.

**იაპონიის ფლოტის დიდი მანევრები.**

ოქტომბრის შუა რიცხვებში ე. ი. ამ დღეებში დაიწყო იაპონიის ფლოტის დიდი მანევრები წყნარ ოკეანეში. მანევრებში მონაწილეობას ღებულობენ 50-ზე დიდი გემები. ამ მანევრებს ექნებათ დემონსტრატიული ხასიათი და გამოწვეულია ამერიკის დიდი საზღვაო ფლოტის მანევრების საპასუხოდ.

**ოსმალეთის სავაჭრო ფლოტი,**

ოსმალეთის ეროვნული აღორძინება დაეჩნდა მის სავაჭრო ფლოტსაც, რომელიც ძველად უმთავრესად იმყოფებოდა უცხოელების ხელში.

დაარსებული იქნა ცუარება საზღვაოსნო საზოგადოებები. ომის დასრულებისას ოსმალეთის სავაჭრო ფლოტი შესდგებოდა 24 გემისაგან. ამ ჟამად ოსმალეთში (გერმანულ ცნობების თანახმად) არის 183 სავაჭრო გემი, ხოლო ყველა საზღვაო ერთეულების რაოდენობა კი აღწევს 456-დე.

# ამბები სოფლებიდან.

**ჩოლაბურის ხიდის გახსნა.** კვირას, 18 ოქტომბერს მოხდა ჩოლაბურის (შორაპ. მაზრა) ახლად აგებულ ხიდის საზეიმო გახსნა.

**სარძევე ფერმა.** ბორჩალოს სას.-სამ. კოოპერატივი „ყარდაშლუყ"-ი აწყობს სოფ. აშაღასერალში სარძევე ფერმას და კარაქის სახდელ ქარხანას.

**გორის სამაზრო** აღმასკომმა დაავალა ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებას შეუდგეს გორის ზოგიერთი ქუჩების მოკირწყვლა-შეკეთებას.

**სასტუმროს მოწყობა.** გორის აღმასკომმა დაადგინა მოაწყოს სასტუმრო ქალაქ გორში ჩამოსულ პარტიულ და საბჭოთა მუშაკების ღამის გასათევად.

**შეშის დამზადება.** თელავის ადგილობრივი მეურნეობის განყოფილება უკვე შეუდგა შეშის დამზადებას.

**ათასი მანეთი.** ბორჩალოს აღმასკომმა გადასდო ათასი მანეთი სამოსწავლო ნივთებისა და სკოლებში სახელმძღვანელო ნივთების შესაძენათ.

# ახალი ამბები.

— სამხედრო-სასანიტარო პროპაგანდა. ჯანსახკომთან მოეწყო სამხედრო-სასანიტარო პროპაგანდის ბიურო.

— წყალში დახრჩობისაგან გადამრჩენმა საზოგადოებამ შეიძინა 185 მანეთის მოწყობილობა ტფილისში პუნქტების მოსაწყობათ.

— ტფილისის ბიუჯეტი. ტფილ. აღმასკომის საბიუჯეტო სექცია ახლო ხანში დაასრულებს ქ. ტფილისის მომავალი სამეურნეო წლის ბიუჯეტის შემუშავებას,

— ქოხ-სამკითხველოები. ტფილ. პოლიტგანათლებამ დაადგინა გაამრავლოს მაზრაში ქოხ-სამკითხველოთა რიცხვი 61-ამდე.

— ბამბის თესლი. საქ. მებამბეობის კომიტეტი წელს ბამბის ქარხნებში დაამზადებს 40 ათას ფუთზე მეტ ბამბის თესლს.

— ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების რაოდენობის გამოსარკვევათ მაზრებში დაიგზავნა სპეციალისტი ინსტრუქტორები.

— სექტემბრის განმავლობაში ქალაქის სასაკლაოზე შემორეკილია 16.287 სული საქონელი ანუ 4000 მეტი ვიდრე აგვისტოში.

— ავათმყოფობა. სექტემბრის განმავლობაში დაზღვეულთაგან ავათ გამხდარა 2.700 კაცი.

— ახალდაბადებულთა მოსავლელად ტფილისის დამზღვევ სალაროს დაზღვეულთათვის, სექტემბრის განმავლობაში მიუცია 7.962 მანეთი.

— მოჯამაგირეები გლეხკომებში. საქართველოში ამჟამად ყველა გლეხკომებში მუშაობს 40 მოჯამაგირე.

# პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** ვარ წ. არმიელი. სახლში მყავს 4 სული სარჩენი. ერთად ერთი საარსებო წყაროს ჩემთვის შეადგენს ერთ თვალიანი წყლის წისქვილი. გადამახდევინებენ გადასახადს თუ არა?

ნ—შვილი.

**პასუხი.** გადასახადისაგან გაგანთავისუფლებენ, თუ წისქვილში არ ამუშავებთ დაქირავებულ პირს.

**კითხვა.** შემიძლია თუ არა სკოლის დამთავრების შემდეგ მაზრაში გადავიდე უმცროს მეთაურად?

კურსანტი ელბაქიძე.

**პასუხი.** ეს ლეგთავის საქმეა.

**კითხვა.** ვარ გამოწვეული 1924 მაისში. ავადმყოფობის გამო ორი თვით ვიყავი განთავისუფლებული. გამანთავისუფლებენ თუ არა ჩემთან მოსულებთან ერთად?

ჩხაიძე.

**პასუხი.** გაგანთავისუფლებენ.

**კითხვა.** ვმსახურებ ტერლეგიონში. ავადმყოფობის გამო ჩამომივიდა ცოლშვილი. მომეცემა თუ არა საოჯახო ულუფა?

გ. ჩ.

**პასუხი.** წითელ არმიელებს საოჯახო ულუფა არ ეძლევათ.

**კითხვა.** 1 დივიზიიდან დაითხოვეს 1924 წ. მაისში გამოწვეულები, მე-2 დივიზიიდან კი არა. რა არის მიზეზი?

წ. არმიელები.

**პასუხი.** თანახმად არმიის ბრძანებისა № 375 ტერნაწილებიდან დაითხოვენ მეორე რიგში, არა უგვიანეს პირველ დეკემბრისა.

**კითხვა.** ვარ ტერარმიელი, დაბადებული 1901 წ. ვმსახურებდი ავჭალის წყალსადენზე ერთი თვე, შტატში არ ვიყავ ჩარიცხული. მეკუთვნის თუ არა ჯამაგირი ან მენახება თუ არა ადგილი?

მალალაშვილი.

**პასუხი** არ გეკუთვნით.

**კითხვა.** ვცხოვრობ განვარის ქ. № 43. სახლი ინგრევა, პატრონი ყურადღებას არ აქცევს. ვის უნდა მივმართო?

ცხენლეგიონის თანამშრომელი სააკოვი.

**პასუხი.** მიმართეთ თბილისის უძრავ ქონებათა სამართველოს.

**კითხვა.** დაბადებული ვარ 1905 წ. ვმსახურებს წ. ჯარში მოხალისეთ, უმცროს მეთაურად (ათის თავი). მეკუთვნის თუ არა ჯამაგირი?

გვალია.

**პასუხი.** თუ თქვენ ისეთი ადგილი გიჭირავთ, რომელიც შტატით გათვალისწინებულია ზედმეტ მსახურისათვის, გეკუთვნით ჯამაგირი, როგორც ზედმეტ მსახურს.

**კითხვა.** ვარ გამოწვეული 1924 წ. მაისში. როდის გამანთავისუფლებენ?

კუტუბიძე.

**პასუხი.** გაისად, შემოდგომაზე.

**კითხვა.** ვმსახურებ ტერნაწილში. წელს ნაწილმა გამაგზავნა არმიის 3 თვიან საბიბლიოთეკო კურსებზე. ვმუშაობ ბიბლიოთეკაში. რომელ თვიდან მომეცემა ჯამაგირი?

წ. არმ. მხ—ლი.

**პასუხი.** რომელი თვიდანაც ჩარიცხული ხართ შტატით გათვალისწინებული სამსახურში.

# უცხო სიტყვათა ახსნა.

ერთა ლიგა—სახელმწიფოთა შორისი დაწესებულება, რომელიც დაარსდა იმპერიალისტურ ომის შემდეგ ამერიკის შეერთებულ შტატების თაოსნობით, თუმცა ამ უკანასკნელში ის არ შევიდა სხვა და სხვა მოსაზრების გამო. ერთა ლიგაში შედის ყველა ბურჟუაზიული სახელმწიფოები ამერიკის შეერთებულ შტატების გარდა. ერთა ლიგა დროგამოშვებით იწვევს მასში შემავალ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, რომელთაც ანგარიშს უკეთებს ლიგას აღმასრულებელი ორგანო—საბჭო. ერთა ლიგაში ინგლისი და საფრანგეთია გაბატონებული. პრესა—გაზეთები და ჟურნალები, რომლებიც ასახავენ საზოგადოებრივ აზრს.

ოფიციალური ორგანო—ის გაზეთი, რომელიც გამოხატავს არსებულ მთავრობის აზრს.

დიპლომატია, დიპლომატიის უწყება, რომელიც მმართავს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას, დიპლომატი—ამ უწყებაში მომუშავე.

ლეგალური—ნება დართული.

რეპრესიები—დევნა.

კამპანია—გეგმით რომელიმე საკითხის გაშუქება ან რომელიმე გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა.

# ჩვენი ფოსტა.

ამხ. ამხ. ნ. ზვიადაძეს. ნ. თოფურიას, სამ. ჰელიძეს, წიქორიძეს და ლობჟანიძეს. თქვენი წერილები: „მეორე ლეგიონის სკოლის შესახებ არ დაიბეჭდება, რადგან ამის შესახებ გავიდა ჩვენს გაზეთში. მოგვაწოდეთ წერილები სხვაზე და ხშირად.

ამხ. დამსწრეს. (6-სე ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია „საჭიროა ასეთ მეთაურზე ზომების მიღება" არ დაიბეჭდება. წვრილმანია.

ამხ. ო.-26-ს (5-თე ლეგ.) და პეტრე კახიძეს თქვენი წერილები „5-თე ლეგიონის მანევრები" და „ქალაქ დუშეთში" არ გამოგვადგა. პირველის შესახებ იყო ჩვენს გაზეთში.

ამხ. ი. წილოსანს (2-რე ლეგ.) თქვენი წერილი სადისციპლინო წესდების შესახებ გამოდგება კედლის გაზეთში.

ამხ. ელ. კიკალიშვილს თქვენი ლექსი „ბრძოლის ხანა" არ გამოდგა. მოიწერეთ ნაწილის ცხოვრებაზე.

ამხ. მ. ცქიფურიშვილს შემოიარეთ რედაქციაში.

**დაკარგე** ქ. თბილისის მილიციის უფროსისაგან გაცემული საოჯახო ულუფაზე ჩარიცხვის მოწმობა № 24485 რამასა პეტრიაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

დროებითი რედაქტორი მ. სიმონგულოვი.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 8.